მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ბიუჯეტი

# თქვენი მუნიციპალიტეტის მომავალში – თქვენს ხელშია

# მარნეულის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტი

## თქვენი მუნიციპალიტეტის მომავალი – თქვენს ხელშია

***ჩვენი ქალაქი, ჩვენი სოფელი, ჩვენი დაბა - ჩვენ აქ ვცხოვრობთ. ჩვენ შეგვიძლია დაველოდოთ ცვლილებებს, მაგრამ ჩვენ თვითონ შეგვიძლია გავაუმჯობესოთ, გავაუკეთესოთ და უფრო გავალამაზოთ ისინი თუ მონაწილეობას მივღებთ ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვაში და ამით დავეხმარებით აღმასრულებელ ხელისუფლებას.***

სამოქალაქო ბიუჯეტი მოქალაქეების ინტერესების გამოხატავის ერთ-ერთი საშუალება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებაში და მის ხარჯვაში. აქედან გამომდინარე, ჩვენ ხელს შეუწყობთ საკრებულოს და გამგებელს ჩვენი ქალაქების და სოფლების მომავლისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღებაში. ამის შედეგად, ჩვენი ინტერესები დაკმაყოფილდება და ჩვენი გადასახადები წავა დანიშნულების ადგილამდე. სამოქალაქო ბიუჯეტი საშუალებას მოგვცემს უკეთ გავიგოთ, თუ როგორ მუშაობს მუნიციპალიტეტი. მოქალაქეების ჩართვა თანხების განაწილების პროცესში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის უფრო ეფექტური მართვის საშუალებას იძლევა და კონსულტაციები საზოგადოებასთან ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შესწავლის უფრო ეფექტური საშუალებაა, ვიდრე კვლევების ჩატარება.

ეს ბუკლეტი მოგითხრობთ თუ როგორ „მუშაობს“ მარნეულის ბიიუჯეტი, როგორი იქნება მარნეულის სამოქალაქო ბიუჯეტი და როგორი გავლენის მოხდენა შეუძლია მას. რა შეგიძლიათ გააკეთოთ, რომ გახდეთ ხელისუფლების მრჩევლები და აქტიური მოქალაქეები, როგორ შეგიძლიათ წარადგინოთ თქვენი წინადადებები.

- მოკლედ მარნეულის შესახებ
- თვითმმართველობა და მისი ფუნქციები
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
- სამოქალაქო ბიუჯეტი
- მარნეულის სამოქალაქო ბიუჯეტი

# მოკლედ მარნეულის შესახებ





**მუნიციპალიტეტი მოიცავს:** ქალაქ მარნეულს და 17 ტერიტორიულ ერთეულს: წერეთლის, შაუმიანის, შულავერის, ყიზილაჯლოს, კულარის, დამია–გეურარხის, აღქერფის, წერაქვის, ალგეთის, კაჩაგანის, კუთლიარის, თამარისის, ხოთჯორნის,ქაფანახჩის, სადახლოს, კასუმლოს და ოფრეთის.

## მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს

**136 000 ადამიანს**




### მათ შორის

ეთნიკური აზერბაიჯანელები – 86,4%,

ქართველები – 7,8%,

სომხები – 5,2%

და სხვა მცირე ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები



სარწმუნოებით უმრავლესობა მუსულმანია, შემდეგ – მართლმადიდებელი ქრისტიანები, დანარჩენი მოსახლეობა, ძირითადად, არის სომხურ-გრიგორიანული რელიგიის მიმდევარი.

# რა არის თვითმმართველობა

## მისი ფუნქციები და მოვალეობები

თვითმმართველი ერთეული არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს აღმასრულე–ბელ და წარმომადგენლობითი ორ-განოები – გამგეობა და საკრებულო, მას აქვს კანონით გათვალისწინებუ-ლი უფლებამოსილება, საკუთარი ბიუჯეტი და ქონება.

მხოლოდ თვითმმართველ ერთეულს გააჩნია ბიუჯეტის მიიღე-ბის და მასში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება, ჩაიბაროს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები და შეაფასოს მისი აღსრულება.

მარნეულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, მარნეულის მუნიციპალი–ტეტის აღმასრულებელი ორგა-ნოს უმაღლესი თანამდებობის პირი არის გამგებელი. გამგებელი ირჩევა პირდაპირი არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრით, ამ მუნიციპალიტე-ტის ტერიტორიაზე დარეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, ოთხი წლის ვადით.



### მარნეულის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია :

- საზოგადოებრივი წესრიგი და თავდაცვა
- მშენებლობა, რესტავრაცია, ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია
- განათლება
- კულტურა, რელიგია, სპორტი
- ჯანდაცვა და სოციალური პროგრამები

### მარნეულის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე:

1) ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრა და პარკირე-ბის წესების დადგენა; დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, გარე განათება, სანიაღვრე მეურნეობის, კანალიზაციის, ნაგავსაყრელების მოწყობა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორცი-ელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება; სასაფლაოების მოვ-ლა-პატრონობა;

2) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამ-წვანება, შესაბამისი პროგრამების დამტკიცება, პროგრამით გათვა-ლისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება;

3) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და გან-ვითარების უზრუნველყოფა;

4) მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული წყალმომარაგების სისტე-მის მოვლა –შენახვა.

5) ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თე-ატრების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება;

6) მუნიციპალური არქივის შექმნა და საარქივო მომსახურების ტა-რიფების დადგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

7) სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებე-ბის არასამეწარმეო (არაკომე–რციული) იურიდიული პირის ფორმით შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;



### თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებაში არ შედის:

1) სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციონირების ორ-განიზება;

2) სახელმწიფო დანიშნულების ობიექტების ფუნქციონირებაში მონაწილეობის მიღება, მ.შ. სახელმწიფო მნიშვნელობის გზების, შენობების რეაბილიტაცია, სახელმწიფო მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების მართვა;

# რა არის ადგილობრივი ბიუჯეტი

## მისი ფორმირების და შესრულების პრინციპები

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი – არის შემოსავლების და სავალდებულო ხარჯების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია თვითმმართველობის ფუნქციების და ვალდებულებების შესასრულებლად, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო.

### ბიუჯეტის მომზადება და წარდგენა

ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისთვის პასუხისმგებელია შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის **აღმასრულებელი ორგანო, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა**.

ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში წარდგენამდე, გამგეობის ინიციატივით, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით მარნეულის „დემოკრატი–ული ჩართულობის ცენტრი"–ს ოფისში იმართება ბიუჯეტის პროექტის წინასწარი განხილვა.

არაუგვიანეს **15 ნოემბრისა** გამგებელი წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) თავმჯდომარეს, რომელიც განსახილველად წარუდგენს მას წარმომადგენლობით ორგანოს.




## ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება

1) ბიუჯეტის პროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენიდან **5 დღის** ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის, შესაძლოა ადგილობრივ გაზეთებში, მუნიციპალტეტის ვებ საიტზე www.marneuli.ge, მუნიციპალურ შენობაში საინფორმაციო დაფაზე.

2) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ. **გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ მიიღება წარმომადგენლობითი ორგანოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.**

3) შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე არა უგვიანეს **25 ნოემბრისა** ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს გამგებელს.

4) ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს არა უგვიანეს **10 დეკემბრისა** ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგებელი (მერი) წარუდგენს წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარეს.





თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობები შედგება **საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობებისაგან.** საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, გათანაბრებითი ტრანსფერი და საქართველოს კანონმდებლობით თვითმმართველი ერთეულებისათვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები, ხოლო არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსულობები.

თვითმმართველ ერთეულს **საკუთარი შემოსულობების** ხარჯვა შეუძლია განახორციელოს **დამოუკიდებლად და თავისი შეხედულებისა**მებრ.

**არასაკუთარი შემოსულობების** ხარჯვა ხდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი მიზნობრიობით.

## მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი 3 ივლისის მდგომარეობით შედგება

| დასახელება | 2015 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | არასაკუთარი შემოსავლები |
| **შემოსულობები** | **27 705 300** | **21 360 800** | **6 344 600** |
| შემოსავლები | 21 321 300 | 15 541 200 | 5 780 100 |
| არაფინანსური აქტივები | 140 000 | 140 000 | 0 |
| ფინანსური აქტივები | 6 244 000 | 5 679 600 | 564 400 |
| ვალდებულებები | 0 | 0 | 0 |
| **გადასახდელები** | **27 705 300** | **21 360 800** | **6 344 600** |
| ხარჯები | 11 739 300 | 11 418 600 | 320 800 |
| არაფინანსური აქტივები | 15 332 700 | 9 434 200 | 5 898 500 |
| ფინანსური აქტივები | 0 | 0 | 0 |
| ვალდებულებები | 633 400 | 508 000 | 125 300 |
| **ნაშთი** | **0** | **0** | **0** |

## მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

| დასახელება | 2015 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | არასაკუთარი შემოსავლები |
| **შემოსავლები** | **21 321 300** | **15 541 200** | **5 780 100** |
| **გადასახადები** | **3 916 900** | **3 916 900** | **0** |
| ქონების გადასახადი | 3 916 900 | 3 916 900 | 0 |
| **გრანტები** | **14 944 600** | **9 164 500** | **5 780 100** |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 8 914 500 | 8 914 500 | 0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 250 000 | 250 000 | 0 |
| **ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები** | **5 780 100** | **0** | **5 780 100** |
| სხვა შემოსავლები | **2 459 800** | **2 459 800** | **0** |






## მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

| დასახელება | 2015 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | არასაკუთარი შემოსავლები |
| მარნეულის მუნიციპალიტეტი | 27 705 300 | 21 360 800 | 6 344 600 |
| წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. | 4 593 400 | 4 593 400 | 0 |
| თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 349 000 | 349 000 | 0 |
| ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. | 15 558 000 | 9 288 500 | 6 269 600 |
| განათლება | 2 650 500 | 2 650 500 | 0 |
| კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა  და სპორტი | 3 707 700 | 3 632 700 | 75 000 |
| სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები | 846 600 | 846 600 | 0 |

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხარჯების განკარგვისას  ზემოთ აღნიშნული სამუშაოების განხორციელების დროს უპირატესობა ენიჭება **პრიორიტეტულ მიმართულებებს** და **მათი რიგითობის დაცვას**. **პრიორიტეტული მიმართულებების საბუთს ადგენს გამგეობა და დასამტკიცებლად წარუდგენს მას საკრებულოს ბიუჯეტის პროექტთან ერთად**.

# სამოქალაქო ბიუჯეტი

## მისი მნიშვნელობა და ფუნქცია

მარნეულის მუნიციპალური ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს სამოქალაქო ბიუჯეტის საკითხებ–ში მოსახლეობის უფრო მეტ ჩართულობას. ამის საშუალებას იძლევა სამოქალაქო ბიუჯეტი. **სამოქალაქო ბიუჯეტი** – პროცესია, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ჩართულობას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირებაში და მის განხორციელებაში. ამით, საზოგადოებას მონაწილეობის საშუალება ეძლევა მუნიციპალიტეტის ქალაქების და სოფლების მომავლისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღებაში და მოსახლეობის ინტერესები დაკმაყოფილებაში.

არსებობს ამ პროცესის რამოდენიმე ვარიანტი.

**ერთერთი მათგანია** – იმ პროექტების განხორციელება, რომლებიც წარდგენილია ცალკეული მოქალაქეების ან საინიციატივო ჯგუფების მიერ **სამოქალაქო ბიუჯეტის** ფარგლებში. ხელისუფლება გამოყობს თანხას საერთო ბიუჯეტიდან და საზოგადოება განიხილავს წარდგენილ პროექტებს და მიიღებს გადაწყვეტილებას რომელია უფრო პრიორიტეტული, საჭირო და საინტერესო. შერჩეული პროექტების რეალიზებას ახორციელებს მუნიციპალიტეტი.

**მეორე ვარიანტი** რომლის მეშვეობით შესაძლებელია საზოგადოების ჩართვა სამოქალაქო ბიუჯეტში – არის ქალაქის და რეგიონის პრიორიტეტებზე და პერსპექტივებზე ღია დისკუსიების ჩატარება ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვამახილვებთ ყურადღებას ცალკეულ პროექტებზე და ვსვავთ კითხვას: რას სჭირდება დაფინანსება პირველ რიგში – განათლებას, სოციალურ პროგრამებს და ა.შ. ეს არის დისკუსია გრძელვადიან პერსპექტივაზე. ამ შემთხვევაში საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს რა უფრო საჭიროა: ახალი გზა, საბავშვო ბაღი, სკოლა, წყალმომარაგება... ყველა მათგანი აუცილებელია, მაგრამ ზოგის გადადება შეიძლება.



# მარნეულის სამოქალაქო ბიუჯეტი

2015 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტი ახორციელებს 2016 წლის პირველი სამოქალაქო ბიუჯეტის „საპილოტო პროგრამას“

პირველი წელი – საპილოტო სტადია. ეს არის სამოქალაქო ბიუჯეტის რეალიზების შესაძლებლობების შეფასება და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება. ადგილობრივი თვისებებიდან გამომდინარე, მომავალში შესაძლებელია მოხდეს გარკვეული ცვლილებები.

| **ყოველწლიურად** მომავალი წლის სამოქალაქო ბიუჯეტის შემუშავება | **2015** 2016 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის შემუშავება |
|---|---|
| 1) **სამოქალაქო ბიუჯეტის წესების შემუშავება** | ტრენინგები: აპრილი–ივლისი |
| 2) **დისკუსიები პრიორიტეტებზე** | მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის წარმომადგენლებისთვის ვორქშოპები 29–31 ივლისს |
| 3) **პროექტების წარდგენა** | 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე **18 სოფლის საკრებულოს წარმომადგენლებისთვის** |
| 4) **პროექტების განხილვა და კონსულტაციები** | მუდმივად პროექტის ჩაბარება 26 აგვისტოს ჩათვლით:მათ შორის პროექტები შედგენილი მარათონის დროს 6,7 и 13,14 აგვისტოს მარნეულში,ქვემო სარალში და სადახლოში. ყველა შემოწმებული პროექტი ხელმისაწვ–დომი იქნება ვებგვერდზე www.marneuli.ge და კულტურის ცენტრში და კულტურის სახლებში |
| 5) **მოქალაქეების მიერ პროექტების შერჩევა** | პრიორიტეტული პროექტების შერჩევა მარნეულის სამოქალაქო საბჭოზე წერაქვში 27-29 აგვისტოს (ტრანსპორტს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი) სექტემბერი - მუნიციპალიტეტის მიერ პროექტების გადამოწმება. ოქტომბერი - სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების სიის გამოქვეყნება. |
| 6) **პროექტების რეალიზება: 2016 წ. იანვარი –დეკემბერი** | რეალიზება : 2016 წ. იანვარი–დეკემბერი |

* *დამატებითი ინფორმაცია იხილეთ გვ.22*



მარნეულის მუნიციპალიტეტი გამოუყოფს თავის ბიუჯეტიდან 1 500 000 ლარს სამოქალაქო ბიუჯეტისთვის (რეალიზება 2016 წელს) მიკროპროექტების სარეალიზაციოდ გათვალისწინებულია 500 000 ლარი (ერთი პროექტის მაქსიმალური ღირებულება შეადგენს 10 000 ლარს)

1 500 000 ლარი შეადგენს მარნეულის მთლიანი ბიუჯეტის 5% . შედარებისთვის – პოლონეთში ხშირ შემთხვევაში გამოიყოფა 1-2% !

## ვის და როგორ შეუძლია მონაწილეობის მიღება მოქალაქეთა ბიუჯეტში

*პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლის მუნიციპალიტეტის ნებისმიერ მოქალაქეს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მიუხედავად მისი ასაკისა, სქესისა და ეთნიკური წარმომავლობისა 16 წლის ასაკიდან.*

### ეს ძალიან მარტივია! თქვენ შეგიძლიათ :

1) მონაწილეობა მიიღოთ რეგიონის საჭიროებების და პროექტების შერჩევის პრინციპების შემუშავების შესწავლაში.

2) შეიტანოთ თქვენი პროექტი

ა) განაცხადის ფორმა ხელმისაწვდომია www.marneuli.ge – ზე და თქვენი სოფლის რწმუნებულთან ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

ბ) შეავსეთ ფორმა, აღწერეთ პროექტი, შეაფასეთ პროექტის საერთო ღირებულება (ჩამოთვალეთ მისი კომპონენტები) და თუ გჭირდებათ კონსულტაცია – თქვენ და–გეხმარებათ მუნიციპალიტეტის სპეციალისტი.

გ) ჩააბარეთ პროექტი თქვენს რწმუნებულს ან მუნიციპალიტეტში დათქმულ ვადა–მდე (2015 წლის 20 აგვისტომდე)

3) მონაწილეობა მიიღოთ პროექტების შერჩევაში
**მონაწილეობა რეგიონის საჭიროებების და პროექტების შერჩევის პრინციპების შემუშავების შესწავლაში**

2015 წლის 29–31 აგვისტოს მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის წარმომადგენელს ჩაუტარდათ სამი ტრენინგი.

## როგორ შევადგინოთ კარგი პროექტი

1) შეკრიბოთ თქვენი სოფლის, საერთო პრობლემის მქონე, მაცხოვრებლები.

2) პირველ რიგში უნდა ჩამოწეროთ არსებული პრობლემების სია დიდი ფორმატის ქაღალდზე და იმსჯელოდ იმაზე თუ რომელი მათგანი პრიორეტულია.;

3) შემდეგ აღწერეთ შესაძლო გადაწყვეტილებები, შეარჩიეთ საუკეთესო, რომლის რეალიზება რეალურად შესაძლებელია მომავალი წლის განმავლობაში.

4) ჩამოაყალიბეთ გუნდი რომელსაც დაევალება განაცხადის შევსება და პროექტის შემუშავება (ერთი ავსებს განაცხადს, მეორე ადგენს ღირებულებას და ა.შ.)



## მიახლოებითი ფასების მოკლე სია

### ინფრასტრუქტურა

- გარე განათება: 1 განათების ბოძი – 830 ლარი
- ასფალტის საფარი: 1 კვ.მ – 50 ლარი
- ხრეში: 1 კვ.მ – 10 ლარი
- სასმელი წყლის გაყვანა: 500 სახლი – 400 000 - 450 000 ლარი
- მინი სტადიონი: 90 000–100 000 ლარი
- კანალიზაცია: 200 ოჯახი – 220 000 ლარი
- საშუალო საზოგადოებრივი შენობების (.მაგ. მუზეუმი, ბიბლიოთეკა) კაპიალური რემონტი 200 კვ.მ – 50 000-100 000 ლარი .
- იგივე კატეგორიების შენობების კოსმეტიკური რემონტი – 100 კვ.მ. 800 – 1000 ლარი

## სხვა (კულტურა, სპორტი, საბავშვო ბაღების ფუნქციონირება და სხვა)

- საბავშვო ბაღის აღმზრდელის ხელფასი – 360 ლარი
- საბავშვო ბაღის დირექტორის ხელფასი – 500 ლარი

**კულტურული ღონისძიებებისთვის :**

- პროექტორის შეძენა – 1 200 ლარი.
- 2 ფოტოაპარატი – 1 000 ლარი.
- კომპიუტერი/ნოუთბუქი 800 -1 000 ლარი.
- კომპიუტერის/ნოუთბუქის დინამიკები – 80 ლარი.
- ხმის სისტემა (2 დინამიკი, მიქშერი, მიკროფონები) – 2 600 - 3 400 ლარი.
- კულტურის სპეციალისტის/ანიმატორის ხელფასი (ბავშვებისთვის კვირაში 2–3 დამატებითი გაკვეთილის ჩასატარებლად) – 100 ლარი.
- მუნიციპალური დაწესებულებებისთვის ინტერნეტი (მაგ კულტურის სახლი) – 300 ლარი გაყვანის და 30 ლარი თვიური გადასახადი.

**სპორტი :**

- მატი/საჭიდაო ხალიჩა – 14 000 ლარი.
- ჭადრაკის 5 კომპლექტი – 300 ლარი.
- ბურთები – 250 ლარი.



## გახსოვდეთ !

- ყველა მოქალაქეს ან საინიციატივო ჯგუფს შეუძლია შეიტანოს ერთ განაცხადზე მეტი!
- შეგიძლიათ შეიტანოთ მცირე პროექტი – არაუმეტეს 10 000 ლარის ღირებულების (ამ პროექტებისთვის გამოიყო – 500 000 ლარი) ან დიდი პროექტი (ამ პროექტებისთვის გამოიყო – 1 000 000 ლარი).
- იმ პროექტებისთვის რომლის ღირებულება აღემატება 10 000 ლარს, გთავაზობთ ჩამო–აყალიბოთ რამოდენიმე სოფლის ან სოფლის საკრებულოს არაფორმალური გაერთიანება.
- გახსოვდეთ და გაითვალისწინეთ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და უფლებამოსი–ლებები!
- კარგად გაიზრეთ ქმედებების თანმიმდევრობა. თუ საჭიროა გზა, სარწყავი წყალი და კანალიზაცია – პირველ რიგში უნდა გაკეთდეს მიწისქვეშა კომუნიკაციები და შემდგომ – გზა.
- იმ შემთხვევაში როდესაც ბიუჯეტის ხარჯები აღემატება 5 000 ლარს – მუნიციპალიტეტი ვალდებულია ჩაატაროს ტენდერი შესყიდვებზე ან მომსახურეობაზე.
- ყველა დამტკიცებული პროექტი უნდა დასრულდეს 2016 წელს. ყველაზე წარმატებული პროექტები გაგრძელდება მომავალშიც.
- ერთჯერადი ქმედების გარდა (მაგ. შენობის რემონტი) უნდა გაითვალისწინოთ ყოველ–თვიური ხარჯები (მაგალითად მშენებლობა/რემონტი–იანვარი-აგვისტო, ფუნქციონირება – სექტემბერი-დეკემბერი)
- იმ დაფინანსების გარდა რომლსაც გამოყოფს მუნიციპალიტეტი, ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი წვლილი – თქვენი აქტიობა, ის – რისი გაკეთებაც შეგიძლიათ თქვენ.

2015 წელს, მარნეულის  ღია სამოქალაქო საბჭო შეარჩევს ყველაზე პრიორიტეტულ პროექტებს. ოქტომბრის დასაწყისში, შემოწმების შემდეგ, მუნიციპალიტეტი შეადგენს სარეალიზაციო პროექტების სიას.  ეს სია განიხილება მოსახლეობასთან ერთად.

## პროექტის გადამოწმება

თქვენი პროექტი მოწმდება მუნიციპალიტეტის მოხელეების მიერ. ისინი უნდა განსაზღვრონ პროექტის ღირებულება, მისი განხორციელების ტექნიკური და იურიდიული  შესაძლებლობები, არის თუ არა მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში მის ამოცანებში და პრიორიტეტებში. ასევე უნდა განისაზღვროს პროექტის რეალიზაციის პერიოდი: მოკლე თუ გოძელვადიანია. პროექტის ღირე–ბულება ვერ გადააჭარბებს სამოქალაქო ბიუჯეტისთვის გამოყოფილ თანხას. ამ შემთხვევაში ასეთი პროექტი გადავა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებში და  განხორციელდება ეტაპობრივად. გახსოვდეთ! თუ თქვენი პროექტი არ მოხვდა სამოქალაქო ბიუჯეტში, მისი რეალიზება შესაძლოა სხვა გზითაც (წაიკითხე ბუკლეტი ბოლომდე)

პროექტების შემოწმება ვერ  დაფუძნდება  სუბიექტურ შეფასებაზე. რა არის მართლაც მნიშვნელოვანი – უნდა დაადგინოს ხალხმა!

2015 წელს ღია სამოქალაქო საბჭოზე შეირჩევა პრიორიტეტული პროექტები.

ოქტომბერში ისინი შემოწმდებიან მუნიციპალიტეტში და შერჩეული პროექტების სია გამოქვეყნდება

## მარნეულის ცხოვრებაში ჩართვის სხვა შესაძლებლობები

**სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი** – მუნიციპალიტეტში განაცხადის წარდგენა შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში (მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 2015 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყო 2 000 000 ლარი)

**ადგილობრივი ინიციატივები** – რაიონის მოსახლეობას და მუნიციპალიტეტის მიერ პროექტების ერთობლივი  განხორციელება. მუნიციპალიტეტი უზრუნველყობს მასალებს – მოსახლეობა ასრუ–ლებს სამუშაოს.

**ბიუჯეტის პროექტების განხილვა** – USAID-ის შენობაში ყოველწლიურად ჩატარდება პროექტების საჯარო განხილვა.

**მონაწილეობა საკრებულოს სხდომებში** – შეუძლია ყველა მსურველს.

**არჩევნები** – ოთხ წელიწადში ერთხელ შეგიძლიათ მიიღოთ მონაწილეობა.

**ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები** – თქვენ შეგიძლიათ შეუერთდეთ მარნეულში მოქმედ ორგანიზაციას და მონაწილეობა მიიღოთ მათ პროექტებში.



## მიღების დღეები მუნიციპალიტეტში:

**გამგებელი –**
**მერაბ თოფჩიშვილი**

ორწაბათი: 9:00 -18:00
სამშაბათი-პარასკევი:  10:00-18:00

ტელ: 0357 22 43 54

### გამგებლის მოადგილეები და სამსახურების უფროსები

**მოადგილეები:**

**ზაურ ტაბატაძე** / ტელ: 0357 22 24 24
**თემურ ბერიძე** / ტელ: 0357 22 27 27
**ქამანდარ ისმაილოვი** / ტელ: 0357 22 28 28

**სამსახურების უფროსები:**

**ვუგარ მამედოვი** / ტელ: 0357 22 12 30
**ნინო დეკნოიძე** / ტელ: 0357 22 19 98
**ლერი ფანგანი** / ტელ: 0357 22 22 48
**ტარიელ მუსაევი** / ტელ: 0357 22 23 23
**რევაზ არეშიძე** / ტელ: 0357 22 46 38
**მამუკა ნავერიანი** / ტელ: 0357 22 44 11

www.marneuli.ge
www.facebook.com/marneuli.gov.ge

Fundacja Inna Przestrzeń
Fundacja Solidarności Międzynarodowej
ONE CAUCASUS
Polish aid

პროექტი ხორციელდება «დემოკრატიის მხარდაჭერის» პროგრამის ფინანსირებით, პოლონეთის თანამშრომლობის განვითარების პროგრამის ფარგლებში. პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიერ.

გამოცემაში გამოხატულია ავტორების პირადი შეხედულებები  და არ შეიძლება გაიგივებული იყოს  პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციასთან.

მარნეულის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტი